უმცირესობაში მყოფი აქციონერის დაცვისა და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმები

ლევან დუაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის, კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება უმცრესობაში მყოფ აქციონერთა აქციონერთა უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებს. მასში გაანალიზებულია ამ საკითხთა მიმართ ეროვნული და ევროკავშირის ქვეყნების მიდგომები. ის იწყება აქციისა და აქციონერთა ცნებების განმარტებით, რასაც მოჰყვება მინორიტარი აქციონერის ცნების დაზუსტება.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში განხილულია მცირე და დომინანტი აქციოენერების უფლებებათა ურთიერთმიმართება, რის შემდეგაც შედარებით ანალიზზე დაყრდნობით დახასიათებულია მცირე აქციონერთა დაცვის მექანიზმები. ის ასევე შეიცავს ამ საკითხთა მიმართ ქართულ და ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას. ბოლოს კი დასკვნასთან ერთად შემოთავაზებულია იმ ნაკლობანებათა აღმოფხვრის გზები, რაც ახასიათებს მინორიტარ აქციონერთა უფლებების დაცვასთან მიმართებით ქართულ საკორპორაციო კანონმდებლობას.

Abstract

Current thesis is dedicated to minority shareholders' rights and their protection mechanisms. It analyzes national and EU member states' approaches regarding those issues. In the first part of thesis definitions of share and shareholder are given. It is followed by precision of term of minority shareholder.

In the following part, relation between minority and dominant partner's rights are analyzed and according to this comparative analyze protection mechanisms for minority shareholders are examined. The thesis also includes the survey of legal practice in Georgia and European states. At last, thesis offers ways for elimination legal deficiencies regarding minority shareholders' rights in the framework of Georgian corporate legislation.